საქართველოსა და მსოფლიოს გეოგრაფია
გეოგრაფიის სახელმძღვანელო მეცხრეკლასელთათვის

საქართველოსა და მსოფლიოს

გეოგრაფია 9

მაია ბლიაძე, გია ჭანტურია,
დავით კერესელიძე, ზურაბ სეფერთელაძე

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012).

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

I თავი — გეოგრაფიული მდებარეობა

1.	საქართველოს ტერიტორიის ფორმირება	8
2.	ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორია	12
3.	ვახუშტი ბაგრატიონი – ქართული გეოგრაფიის ფუძემდებელი	16
4.	საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა	20
5.	საქართველოს ტერიტორიის ფართობი და საზღვრები	26
6.	საქართველო და კავკასია	31
7.	საქართველო და მსოფლიო	34
8.	საქართველოს სახელმწიფო წყობილება და სახელმწიფო სიმბოლიკა	36
9.	საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა	38
	შემაჯამებელი სამუშაო I	40

II თავი — ბუნებრივი პირობები და რესურსები

10.	ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობა საქართველოში	44
11.	მინერალური რესურსები	48
12.	საქართველოს რელიეფი – ზოგადი ნიშნები	53
13.	საქართველოს უმთავრესი გეომორფოლოგიური ერთეულები	58
14.	რელიეფის ტიპები	61
15.	რელიეფთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენები, რელიეფის სამეურნეო ათვისება	64
16.	შავი ზღვა	70
17.	შავი ზღვის სამეურნეო გამოყენება და დაცვა	74
18.	საქართველოს ჰავა და ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები	77
19.	ჰავის ძირითადი ელემენტები	81
20.	ჰავის ძირითადი ტიპები	88
21.	ჰავასთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენები. ატმოსფეროს გაჭუჭყიანება და დაცვა	90
22.	საქართველოს შიგა წყლები	95
23.	წყალთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენები.	88
	წყლის რესურსების გამოყენება და დაცვა	104
24.	საქართველოს ნიადაგები	108
25.	მიწის რესურსები და ნიადაგის დაცვა	112
26.	საქართველოს მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო	114
27.	ტყის რესურსების სამეურნეო გამოყენება და დაცვა	119
28.	ბუნების დაცვა და საქართველოს დაცული ტერიტორიები	122
29.	საქართველოს ლანდშაფტები	127
	შემაჯამებელი სამუშაო II	132

საქართველოს მოსახლეობა

III
თავი

30.	საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული წარსული	136
31.	მოსახლეობის დინამიკა	138
32.	მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა	141
33.	მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა	145
34.	მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი და სოციალური სტრუქტურა	148
35.	მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური სტრუქტურა	153
36.	მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება და სიმჭიდროვე	160
37.	ურბანიზაცია. საქალაქო და სასოფლო დასახლებები	165

საქართველოს მეურნეობა

IV
თავი

38.	საქართველოს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში	176
39.	საქართველოს მრეწველობა	180
40.	სოფლის მეურნეობა	187
41.	საქართველოს ტრანსპორტი	193
42.	მომსახურების სფერო	201
43.	ტურიზმი და რეკრეაციული მეურნეობა	205
44.	ტრადიციების გეოგრაფია	211
45.	საგარეო კავშირები და საერთაშორისო ორგანიზაციები	215
	შემაჯამებელი სამუშაო III	220

საქართველოს მხარეები

V
თავი

46.	თბილისი	224
47.	კახეთი	229
48.	ქვემო ქართლი	233
49.	შიდა ქართლი	237
50.	მცხეთა-მთიანეთი	241
51.	სამცხე-ჯავახეთი	246
52.	იმერეთი	251
53.	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	255
54.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	259
55.	გურია	263
56.	აჭარა	267
57.	აფხაზეთი	272
	შემაჯამებელი სამუშაო IV	277
	დანართები	279

I თავი

გეოგრაფიული მდებარეობა

შეიტყობ:

- სად გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის;
- სად მდებარეობს საქართველო და როგორია მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის ფაქტორები;
- სად გადის საქართველოს საზღვრები;
- როგორ ხდებოდა საქართველოს ტერიტორიის ფორმირება;
- როგორია საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა.

შეძლებ:

- იმსჯელო საზღვრების გატარების თავისებურებების შესახებ და მათ მნიშვნელობაზე;
- აღნიშნო კონტურულ რუკაზე საქართველოს საზღვრები სხვადასხვა ეპოქის მიხედვით;
- ახსნა გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები;
- შეადარო საქართველოსა და სხვა ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა.





საქართველო

ზოგადი ცნობები:

1. ფართობი – 69 700 კვ.კმ
2. დედაქალაქი – თბილისი
3. მოსახლეობა – 4,6 მლნ კაცი (2002 წლის აღწერით)
4. მოსახლეობის სიმჭიდროვე – 64 კაცი 1 კვ.კმ-ზე
5. სახელმწიფო ენა – ქართული, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე აფხაზური
6. სახელმწიფო წყობა – რესპუბლიკა
7. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი
8. ფულადი ერთეული – ლარი
9. ეროვნული დღესასწაული – 26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე
10. რელიგია – ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა
11. მთავარი ქალაქები – ქუთაისი, რუსთავი, თელავი, ბათუმი, სოხუმი, ჭიათურა, გორი, ფოთი, ზუგდიდი
12. ადმინისტრაციული დაყოფა – სამხარეო (12 სამხარეო ერთეული)
13. სასაათო სარტყელი – მე-4
14. ინტერნეტკოდი – ge

1. საქართველოს ტერიტორიის ფორმირება

ლექსიკონი

ვასალი ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც დამოკიდებულია სხვა უფრო დიდ და ძლიერ სახელმწიფოზე.

სუვერენიტეტი – სახელმწიფოს დამოუკიდებლობა

საქართველოს ტერიტორია ისტორიული დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს და I ათასწლეულის დასაწყისში ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ორი გაერთიანება: დიაოხი (ტაო, ტაოხი) მდ. ჭოროხის აუზში და კოლხა (კოლხეთი) შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მეზობელი ტერიტორიებიდან შემოჭრილი მტრების იერიშებმა დიაოხისა და კოლხას ძლიერებას ბოლო მოუღო.

ძვ. წ. VI ს-ში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ორი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოყალიბდა: დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, იგივე კოლხეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოში – ქართლის, იგივე იბერიის სამეფო. კოლხეთის სამეფო საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

ნახ. 1.1. საქართველო ძვ.წ. VI-II სს.



დავალება

1. ნახ. 1.1-ის მიხედვით ამოიწერე ეგრისისა და ქართლის სამეფოების:
   ა) დედაქალაქები; ბ) საერისთავოების ცენტრები; გ) ხუთი დასახლებული პუნქტი.
2. მოძიებული ინფორმაცია შეადარე საქართველოს თანამედროვე რუკას (დანართი 2) და დაადგინე დღევანდელი საქართველოს ფარგლებში: ა) რომელმა დასახლებულმა პუნქტმა შეიცვალა სახელი; ბ) რომელი მათგანი აღარ არსებობს.

ქართული სახელმწიფოების ტერიტორიის სიდიდეზე უდიდეს გავლენას ახდენდა მეზობელი სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა. ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთს ეცილებოდა გავლენის მოპოვებისთვის. VII საუკუნეში საქართველოში არაბობა დამყარდა და სახელმწიფოს დიდი ნაწილი არაბთა სახალიფოს დაექვემდებარა, რამაც X საუკუნის დასაწყისამდე გასტანა, თუმცა, უკვე VIII ს-ის ბოლოს ქვეყნის განაპირა პროვინციებში დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქართული სამეფო-სამთავროების აღმოცენების, ასევე, ბიზანტიელთა, არაბთა, თურქ-სელჩუკთა თუ სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლების ფონზე, ქართველები, მიუხედავად ტერიტორიული დანაკარგებისა, ძირითადად მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ საცხოვრებელ მიწებსა და ტერიტორიებს.

X-XI სს-ის მიჯნაზე საქართველოს სამეფოები გაერთიანდა, ხოლო XI–XII სს-ში, დავით აღმაშენებლისა და თამარის მეფობის ხანაში, ეს პროცესი ძლიერი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. ამავე დროიდან დამკვიდრდა ტერმინი „საქართველო“. იმდროინდელი საქართველოს ტერიტორია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (დერბენდი) და ოსეთიდან (ალანია) არაგაწამდე (სომხეთი) იყო გადაჭიმული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს კავკასიის თითქმის მთელი ტერიტორია საქართველოს მეფის მორჩილებისა და მფარველობის ქვეშ მოიაზრებოდა.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ (XIII ს.) საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და მისი ტერიტორიაც თანდათანობით შემცირდა. საქართველო ორ ნაწილად გაიყო და, ამავდროულად, სამცხე უშუალოდ მონღოლებს დაემორჩილა. ასე გასტანა გიორგი V ბრწყინვალეს (1314-1346 წწ) მეფობამდე. სწორედ მან შეძლო სამცხის კვლავ შემოერთება და ქვეყნის ხანმოკლე, მაგრამ ხელახალი გაერთიანება.

თემურლენგის ლაშქრობებმა (1386-1404 წწ), მოგვიანებით ირანელებისა და თურქების აგრესიულმა პოლიტიკამ, ჩრდილოკავკასიელთა შემოსევებმა და, ამასთანავე, შიდაპოლიტიკურმა რღვევებმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა გამოიწვია და XVI ს-ის ბოლოს ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაიყო.



ძვ. წ. I ათ. II ნახევარი | ახ. წ. I-IV სს | IX-X სს

XIII საუკუნე | XVIII საუკუნის II ნახევარი | XX საუკუნე

ნახ. 1.2. საქართველოს ტერიტორიის ცვლილება საუკუნეების განმავლობაში (ათასი კვ. კმ)

დავალება

3. ნახ. 1.2 მიხედვით ააგე გრაფიკი „საქართველოს ტერიტორიის ცვლილება“.

ნახ. 1.3. საქართველო XIII საუკუნის დამდეგს

4. გააანალიზე ნახ. 1.3. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი:

საკუთრივ საქართველოს ტერიტორია	საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები

XVI-XVIII სს-ში საქართველოს ტერიტორია ირან-ოსმალეთს შორის განაწილდა, რაც თან მოჰყვა მოსახლეობის ძალდატანებითი ისლამიზაცია. დაიკარგა ტერიტორიის გარკვეული ნაწილი.

XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთმა საქართველოს ჩამოაცილა სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამთავრო, შაჰ-აბასმა (XVII ს) – ლორეს ველი და მდინარე დებედას ხეობა (ქართლი), კახეთში კი კაკ-ენისელის მხარე (საინგილო) მიიტაცა.

XIX საუკუნის დასაწყისში მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. რუსეთში მონარქიის დამხობას და იქ კომუნისტური რეჟიმის დამყარებას საქართველოს გასაბჭოება მოჰყვა. ამ დროს საქართველომ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დაკარგა.

1991 წელს საქართველომ აღიდგინა **სუვერენიტეტი** და ქვეყნის ტერიტორია იმ საზღვრებში, რომელიც მას სსრკ-ს (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) შემადგენლობაში ყოფნისას ჰქონდა.

ნახ. 1.4.
საქართველო
XX-XXI
საუკუნეებში

დავალება

5. ნახ. 1.4-ის მიხედვით დაადგინე, რომელი ტერიტორიები დაკარგა გასაბჭოების შემდეგ საქართველომ.

6. წაიკითხე პ. ინგოროყვას სიტყვები: ა) იმსჯელე, თუ როგორ გესმის ტექსტის პირველი აბზაცი. ბ) ახსენი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობის მნიშვნელობა. გ) როგორ ფიქრობ, რა ფაქტორები განაპირობებდა საქართველოს ტერიტორიულ ცვლილებებს? დ) აღნიშნე კონტურულ რუკაზე ტექსტში მოხსენიებული რვა პროვინცია და მათი ცენტრები.

„საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს, მთლიანს წარმოადგენს – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით... საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა წარსულში, მაგრამ საქართველო ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას ერქვა. ეს არის რვა პროვინცია, რომელზედაც ქართველი ერი მოსახლეობს მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე: ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი“.

„საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“

პავლე ინგოროყვა

7. აღნიშნე კონტურულ რუკაზე საქართველოს საზღვრები XIII და XXI საუკუნეებში.

ეს საინტერესოა

- ძველი წელთაღრიცხვის III ს-ში, ფარნავაზისა და მისი მემკვიდრის საურმაგის მეფობისას, ქართლის სამეფო საკმაოდ ძლიერი იყო და იგი არა მარტო მთელ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ მოსაზღვრე ოლქებსაც კი მოიცავდა. სწორედ ამ დროს მოხდა ერთი ძირიდან წარმოშობილი ქართველი ტომების სწრაფი შეკავშირება და ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება. სავარაუდოდ, ქართული ენა ოფიციალურ, სახელმწიფო ენად ფარნავაზის მეფობის დროს გამოცხადდა.

2. ქართული გეოგრაფიული აზროვნების ისტორია

საქართველოს გაცნობა და შესწავლა ხდებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მკვლევართა მიერ. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული შესწავლის ისტორია 5 პერიოდად იყოფა: 1. ანტიკური; 2. შუა საუკუნეების; 3. აღორძინების; 4. ახალი; 5. უახლესი.

ანტიკური პერიოდი ძვ. წ. VI ს-დან ახალი წ. IV ს-მდე გრძელდებოდა. საქართველოს შესახებ ერთ-ერთ პირველ გეოგრაფიულ შრომად ითვლება ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის, **ჰეკატე მილეტელის** (ძვ. წ. VI-V სს) ნაშრომი „მიწის აღწერა“, სადაც იგი მოიხსენიებს კოლხებს, კავკასიონს, შავ ზღვას.

საქართველოს შესახებ ასევე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ინფორმაციაა თავმოყრილი ბერძენი მეცნიერების შრომებში: **ჰიპოკრატე** (ძვ. წ. V-IV სს, „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“), **ქსენოფონტე** (ძვ. წ. V-IV სს, „ანაბასისი“), **სკილაკ კარიანდელი** (ძვ. წ. IV ს, „პერიპლუსი“), **ჰეროდოტე** (ძვ. წ. V ს, „ისტორია“), **აპოლონ როდოსელი** (ძვ. წ. III ს, „არგონავტიკა“), **სტრაბონი** (ძვ. წ. II – ახ. წ. III სს, „გეოგრაფია“) **კლავდიოს პტოლემე** (ახ. წ. II ს, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო და მსოფლიოს რუკა“) და სხვ. მათს თხზულებებში მოხსენიებული და აღწერილია სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტი (მდინარეები, მხარეები, ქალაქები, ტბები და ა. შ.).

შუა საუკუნეების (IV-XVI სს) მეცნიერთა და მოგზაურთა შორის, საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, ყველაზე მნიშვნელოვან ცნობებს იტალიელი მოგზაური **მარკო პოლო** იძლევა. ასევე, აღსანიშნავია ბიზანტიელი ისტორიკოსი **პროკოპი კესარიელი**, სომეხი მეცნიერი **ანანია შირაქაცი**, იტალიელი **ამბროჯო კონტარინი** და სხვები.

ნახ. 2.1. მარკო პოლო და მისი მოგზაურობის მარშრუტი



დავალება

1. ნახ. 2.1-ისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის (დანართი 3) გამოყენებით აღწერე მარკო პოლოს მოგზაურობის მარშრუტი.

აღორძინების ეპოქა XVI-XVIII საუკუნეებს მოიცავს. ამ პერიოდში კავკასიისა და საქართველოს გეოგრაფიული კვლევები და შესწავლა კვლავ გრძელდება. საქართველოს ბუნების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანეს დასავლეთ ევროპელმა და რუსმა მოგზაურებმა და მკვლევრებმა. მათ შორის გამოირჩევიან **არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი და ჟოზეფ პიტონ ტურნეფორი, იოჰან-ანტონ გიულდენშტედტი, სტეფანე ბურნაშევი** და სხვა. მათ შრომებში აღწერილია ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, მთები, მდინარეები და სხვა. რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში თურქმა **ევლია ჩელებიმ**.

ნახ. 2.2.
თურქი მოგზაური
ევლია ჩელები

ახალი პერიოდი მოიცავს XIX საუკუნეს და XX ს-ის დასაწყისს. ამ დროს საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველოში გეოგრაფიული ხასიათის კვლევებს აწარმოებს. სწორედ ამ პერიოდში იხსნება მრავალი სპეციალური დაწესებულება, მათ შორის, თბილისის ობსერვატორია, თბილისის ბოტანიკური ბაღი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, კავკასიის მუზეუმი; დაიწყო ქვეყნის გეოდეზიური აგეგმვა, მყინვარების შესწავლა, გამოიცა რუკები და სხვა.

უახლეს, ანუ თანამედროვე პერიოდში, გეოგრაფიული კვლევები ინტენსიურად მიმდინარეობს. იხსნება ახალი სამეცნიერო და სასწავლო ცენტრები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გეოგრაფიული პროგნოზირება, ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება, მდგრადი განვითარების პრობლემები და სხვა.

ქართული გეოგრაფიული აზროვნების განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან იწყება. პირველი ქართული საერო თუ საეკლესიო წყაროები, ფაქტობრივად, პირველ ქართულ გეოგრაფიულ წყაროებს წარმოადგენენ, რადგანაც მთელ რიგ გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს შეიცავენ.



ნახ. 2.3.
ჩახრუხაძის
მოგზაურობის
მარშრუტი